სახელმწიფო შესყიდვის
ხელშეკრულება
№ 2295/ 104

ქ. თბილისი

29 ნოემბერი 2013 წ.

(მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა „გამარტივებული შესყიდვის" საშუალებით)

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ერთის მხრივ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენელი მინისტრის პირველი მოადგილის გოგი ფაცაციას სახით და ს/ს „აისი" (შემდგომში - "მიმწოდებელი"), დირექტორი ხვიჩა ლაკია მეორეს მხრივ (შემდგომში - მხარეები), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2. შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომში „შემსყიდველი") - ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. მიმწოდებელი ორგანიზაცია (შემდგომში „მიმწოდებელი") - ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების - სენაკი, ჭყონდიდელის ქ.N15 და ჩხოროწყუ, სოფ.ლეწურწუმე (შემდგომში - ობიექტი) ადმინისტრაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 26 თებერვლის №43 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად, „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში;

2.2. განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვის მოცულობას განსაზღვრავს შემსყიდველი, დევნილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტებში რეგისტრირებული ბენეფიციარების რაოდენობის მიხედვით, ყოველთვიურად, თითოეული კონკრეტული ობიექტის მიხედვით;

2.3. **CPV 98341130 - „შენობა-ნაგებობების მომსახურება (დასუფთავების ჩათვლით)";**

2.4. შესყიდვის საშუალებად გამოყენებულია „გამარტივებული შესყიდვა", რომლის განხორციელების საფუძველია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მესამე პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის მოთხოვნები.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მომსახურების მიწოდების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 1440,00 (ერთი ათას ოთხასორმოცი ლარი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების, მოსაკრებლების და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახდელების გათვალისწინებით;

3.2. 2013 წლის გადახდები ხორციელდება ყოველთვიურად, ყოველ კონკრეტულ დევნილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტებში რეგისტრირებული ბენეფიციარების (იხილე დანართი №1 – 1 ფურცელი) რიცხოვნობის შესაბამისად ;

3.3. ბენეფიციარების რიცხოვნობა ყოველ კონკრეტულ თვეში ზუსტდება შემსყიდველის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ბენეფიციარების სახელობითი სიის შესაბამისად, რომელიც დანართის სახით ყოველთვიურად დაემატება წინამდებარე ხელშეკრულებას და ავტომატურად გახდება მისი განუყოფელი ნაწილი, ხოლო აღნიშნულის თანახმად განხორციელდება აწგარიშსწორება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის;

3.4. დევნილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტებში რეგისტრირებული ბენეფიციარების რიცხოვნობა განსაზღვრულია შემსყიდველის მონაცემთა ბაზებში რეგისტრირებული დევნილების სახელობითი სიების მიხედვით, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას დანართის N2 სახით (დანართი №2- 3 ფურცელი). იგი წარმოადგენს ხელშეკრულების (N2295/104, 29.11.13წ.) განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მხოლოდ მასთან ერთად;

3.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხების სავარაუდო წლიური ოდენობა გამოიანგარიშება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 26 თებერვლის №43 ბრძანებით დამტკიცებული ტარიფის გადამრავლებით შემსყიდველის მონაცემთა ბაზაში 2013 წლის იანვრის თვის მდგომარეობით რეგისტრირებული დევნილების სახელობით სიებში (დანართი N2 -10 ფურცელი) აღნიშნული ბენეფიციარების რიცხოვნობაზე.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურებების გაწევა. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე და დროულობაზე, პასუხს აგებს და სრულად უნაზღაურებს „შემსყიდველს" მისთვის მიყენებულ ზარალს;

4.2. „მიმწოდებელი" პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისიწნებული გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების დროულ და უპირობო გადახდაზე;

4.3. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მახალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

4.4. „შემსყიდველი" ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი და შესრულებული ვალდებულებები აანაზღაუროს სრულად;

4.5. "შემსყიდველი" არ აგებს პასუხს "მიმწოდებლის" მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე, მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანზე ან/და ზარალზე.

მუხლი 5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი და მიწოდების ადგილი

5.1. მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ;

5.2. მომსახურების გაწევის ადგილია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში N1 მითითებული დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტები.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს საქონლის შესყიდვის მიმდინარეობის შესაბამისობის შემოწმება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

6.2. „შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობის ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერას განახორციელებს სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ლევანი ჯიჭონაია.

6.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით, ხოლო გამოვლენილი დაზიანების ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

7.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება მაღალხარისხიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა.

მუხლი 8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2 ანარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, სააანგარიშსწორებო პერიოდში სამინისტროში რეგისტრირებულ დევნილთა რიცხოვნობის შესაბამისად.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

8.4. ანგარიშწორება განხორციელდება "2013 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში, სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული დევნილთა რაოდენობის შესაბამისად 2013 წლის 1 იანვრიდან.

8.5. მომსახურების მიწოდების ანაზღაურება განხორციელდება ეტაპობრივად, მომსახურების მიწოდების შემდეგ შედგენილი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, 20 სამუშაო დღის ვადაში;

8.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

მუხლი 9. ფასები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში დაფიქსირებული მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს და მისი ცვილება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული შესაბამისი ცვლილებების შედეგად.

უხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ერთი თვით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, „შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმების) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების (საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად) დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

მუხლი 13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისთვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20 %-ის ოდენობით.

მუხლი 14. ხელშეკრულებიდან გასვლა

14.1. ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება "იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის "ბ", "ვ" და "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ, კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან დევნილთა გამოსახლების შემთხვევაში.

14.2. ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება "იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან დევნილთა გამოსახლების შემთხვევაში დევნილთან შესაბამისი წერილობითი შეთანხმების დადებისთანავე.

14.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია "14.1." პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების მოსალოდნელი დადგომის შესახებ აცნობოს "შემსყიდველს" არაუგვიანეს ორი კვირით ადრე.

მუხლი 15. დავების გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარებენ მათ შორის წარმოქმნილ ნებისმიერ უთანხმოებას და დავას, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. მომსახურების გაწევის პერიოდი

მომსახურება ხორციელდება 2013 წლის 1 იანვრიდან „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად შესრულებამდე, ანუ 2013 წლი 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 18. სხვა პირობები

18.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

18.1.1. ყოველდღიურად გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

18.1.2. გააცნოს მის კუთვნილ ობიექტში ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილებს, ლტოლვილებსა თუ ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირებს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

18.1.3. წარმოადგინოს დოკუმენტაცია სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გასაფორმებლად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 26 თებერვლის N43 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად;

18.2. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის მის მიმართ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და გაკოტრების საქმე.

18.3. მიმწოდებელი ვალდებულია 1 თვით ადრე წერილობით აცნობოს შემსყიდველს, მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მის მიმართ მოსალოდნელი გაკოტრების საქმის დაწყების თაობაზე.

18.4. წინამდებარე ხელშეკრულებით მიღებული თანხის კანონიერ ხარჯვაზე, აგრეთვე, "18.2", "18.3." და "14.1" პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციების დროულ მიუწოდებლობაზე მთელი პასუხისმგებელობა ეკისრება "მიმწოდებელს".

18.5. "საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 26 თებერვლის №43 ბრძანების ნაბეჭდი ტექსტები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართს N3 (დანართი N3 სამი ფურცელი) და არის მისი განუყოფელი ნაწილი.

18.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	**ს/ს „აისი"**
ს. კოდი 200037646	ს/კოდი: 239861814
მის: ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა	მის: სენაკი, ჭყონდიდელის ქ.#15 ჩხოროწყუ, სოფ.ლეწურწუმე
ტელ: 2 31 15 80	ტელ: 593693251
სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"
ბ. კოდი 220101222	ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა 200122900	ა/ა: GE33LB0114134840054000
მინისტრის პირველი მოადგილე	**დირექტორი**
გოგი ფაცაცია	**ხვიჩა ლაკია**

დანართი 1

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების (№2295/104, 29.11.13წ) დანართი

N	დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტის დასახელება და მისამართი	დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში მომსახურების გაწევის სახე	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის N43 ბრძანებით დამტკიცებული ტარიფი	დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში მცხოვრები დევნილთა რაოდენობა
1	ს/ს „აისი“	CPV 98341130 შენობა-ნაგებობების მომსახურეობა (დასუფთავების ჩათვლით)	2 ლარი	60
2				
3				
4				
5				
6				
7				

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო მინისტრის პირველი მოადგილე გოგი ფაცაცია	ს/ს „აისი“ დირექტორი ხვიჩა ლაკია

საქართველო

სააქციო საზოგადოება

ა ი ს ი

Georgia

Joint-Stock Company

AISI

ქ. სენაკი ჭყონდიდელის ქ. №5

5 Chkondideli Street. Senaki

T.

№ 19

27. 11. 2013

ბატონ ვ. ყარამანოვს

ადგილი გათხოვილ და ინტეგრირებულ ქალთან ერთად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით

გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა

მინისტრის პირველ მოადგილეს

ბატონ გოგი ფაცაციას

ბატონო გოგი,

გთხოვთ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაგვიფორმოთ ხელშეკრულება აღნიშნული ობიექტების ადმინისტრაციული მომსახურეობის ხარჯისთვის.

დანართი: 11 ფურცელი.

პატივისცემით,

სს „აისი"-ს გენერალური დირექტორი

ხვიჩა ლაკია

28 11 2013 №

801671/01

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 46.13.01.002

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882013580887 - 26/11/2013 14:49:59	27/11/2013 11:53:32

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ჩხოროწყუ	ლეწურწუმე		
46	13	01	002

მისამართი: რაიონი ჩხოროწყუ , სოფელი ლეწურწუმე

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაუზუსტებელი ფართობი: 7300.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 46.13.01.001;
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობები

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 462001000059 , თარიღი 28/12/2001

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- გადაწყვეტილება N57 , დამოწმების თარიღი: 26/03/1982 , ჩხოროწყუს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი

მესაკუთრეები:
სააქციო საზოგადოება "აისი", ID ნომერი: 239861814

მესაკუთრე:	აღწერა:
სააქციო საზოგადოება "აისი"	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: 102013297994 19/11/2013 15:45:58
  სააქციო საზოგადოება სს აისი ს/ნ 239861814
  საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება
  საფუძველი: შეგყობინება, N0662535, 19.11.2013, შემოსავლების სამსახური

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 44.01.07.050

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882013580828 - 26/11/2013 14:36:55

მომზადების თარიღი
27/11/2013 10:20:12

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
სენაკი	სენაკი		
44	**01**	**07**	**050**

მისამართი: ქალაქი სენაკი , ქუჩა ა. ელიავა , N 201

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაუზუსტებელი ფართობი: 1000.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 გაშენების ფართობი 213 კვ.მ.; N2 გაშენების ფართობი 33 კვ.მ.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 442000015300 , თარიღი 04/07/2000

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ცნობა N60 , დამოწმების თარიღი:24/05/2000 , საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სენაკის სამმართველო
- ბრძანება N16 , დამოწმების თარიღი:23/11/1994 , საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სენაკის რაიონული განყოფილება

მესაკუთრეები:
სააქციო საზოგადოება "აისი", ID ნომერი:239861814

მესაკუთრე:
სააქციო საზოგადოება "აისი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: **102013297994 19/11/2013 15:45:58**
  სააქციო საზოგადოება სს აისი ს/ნ 239861814
  საგანი: **მთელი ქონება, მთელი ქონება**
  საფუძველი: **შეტყობინება, N0662535, 19.11.2013, შემოსავლების სამსახური**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N 44.01.03.245

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882013580779 - 26/11/2013 14:30:39

მომზადების თარიღი
27/11/2013 11:40:30

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
სენაკი	სენაკი		
44	**01**	**03**	**245**

მისამართი: ქალაქი სენაკი , ქუჩა ჭყონდიდელი , N 18

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაუზუსტებელი ფართობი:2200.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობის რაოდენობა:N1 გაშენების ფართობი 297 კვ.მ; N2 გაშენების ფართობი 225.2კვ.მ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 442000001530 , თარიღი 04/07/2000

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ცნობა N60 , დამოწმების თარიღი:24/05/2000 , საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სენაკის სამმართველო
- ბრძანება N16 , დამოწმების თარიღი:23/11/1994 , საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სენაკის რაიონული განყოფილება

მესაკუთრეები:
სააქციო საზოგადოება "აისი", ID ნომერი:239861814

მესაკუთრე:
სააქციო საზოგადოება "აისი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირაუნობა:

- საგადასახადო გირაუნობა/იპოთეკა: **102013297994 19/11/2013 15:45:58**
  სააქციო საზოგადოება სს აისი ს/ნ 239861814
  საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება
  საფუძველი: **შეტყობინება, N0662535, 19.11.2013, შემოსავლების სამსახური**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 44.01.03.067

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882013580854 - 26/11/2013 14:42:42

მომზადების თარიღი
27/11/2013 10:17:23

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
სენაკი	სენაკი		
44	**01**	**03**	**067**

მისამართი: ქალაქი სენაკი , ქუჩა ჭყონდიდელი , N 17

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაუბუსტებელი ფართობი:340.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენიბა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1 გამშენების ფართობი 252კვ.მ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 442000000153 , თარიღი 04/07/2000

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ცნობა N60 , დამოწმების თარიღი:24/05/2000 , საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სენაკის სამმართველო
- ბრძანება N16 , დამოწმების თარიღი:23/11/1994 , საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სენაკის რაიონული განყოფილება

მესაკუთრეები:
სააქციო საზოგადოება "აისი", ID ნომერი:239861814

მესაკუთრე:
სააქციო საზოგადოება "აისი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: **102013297994 19/11/2013 15:45:58**
  სააქციო საზოგადოება სს აისი ს/ნ 239861814
  საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება
  საფუძველი: **შეტყობინება, N0662535, 19.11.2013, შემოსავლების სამსახური**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი:	686013
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი:	B13116133
ამონაწერის მომზადების თარიღი:	27/11/2013 11:33:27

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	სს აისი
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. სენაკი, ჭყონდიდელის ქ. № 8
საიდენტიფიკაციო კოდი:	239861814
სამართლებრივი ფორმა:	სააქციო საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	24/05/2000
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	56/5-34
მარეგისტრირებელი ორგანო:	სენაკიკი რ-ნის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	სენაკის მუნიციპალიტეტი

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 39001016203, ხვიჩა ლაკია,
  დირექტორი, ,

დამფუძნებლები

ვალდებულება

გირავნობა

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

http://public.reestri.gov.ge

www.libertybank.ge
info@libertybank.ge
კლიენტთა მომსახურება:
ტელ: +995 (32) 55 55 00
ფაქსი: +995 (32) 55 55 04
სს "ლიბერთი ბანკი"
ი.ჭავჭავაძის გამზირი 74
თბილისი, 0162, საქართველო

ანგარიშის დეტალები

ანგარიშის დასახელება(მიმღები):	სს აისი
ანგარიშის ნომერი:	GE33LB0114134840054000
ანგარიშის ვალუტა:	ლარი
მიმღები ბანკის დასახელება:	სს ლიბერთი ბანკი
მიმღები ბანკის SWIFT კოდი:	LBRTGE22

450

გთხოვთ, ზუსტად მიუთითოთ ლიბერთი ბანკში თქვენი ანგარიშის რეკვიზიტები მათზე სხვა ბანკიდან თანხის ჩარიცხვის დროს - ეს დაგვეხმარება დროულად და სანდოდ მოვახდინოთ თქვენი ოპერაციების დამუშავება

წინამდებარე დოკუმენტი ამობეჭდილია ლიბერთი ბანკის სისტემიდან 27.11.2013 17:20:51 AM

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. #11, ტელ: 23 46 02 ფაქსი: (0431) 234605, e-mail: kutaisicity@court.ge

26 ნოემბერი 2013 წელი

№ 21033

ბატონ ხვიჩა ლაკიას
სს „აისი"-ს გენერალურ დირექტორს

თქვენი 2013 წლის 26 ნოემბრის №17 წერილობითი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ დღეის მდგომარეობით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების მონაცემებით, სს „აისი"-ს მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება.

პატივისცემით,

ნათია ვაჩიბერაძე

კანცელარიისა და მოქალაქეთა მიღების
განყოფილების სპეციალისტის მ/შ.ემსრულებელი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

განცხადების რეგისტრაციის ნომერი: № B13116139
განცხადების რეგისტრაციის დრო: 26/11/2013 14:43
ინფორმაციის მომზადების დრო: 27/11/2013 10:29

ინფორმაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრს 26/11/2013 წელს წარედგინა განცხადება № B13116139 (განმცხადებელი ხვიჩა ლაკია).

განცხადებით მოთხოვნილია ინფორმაცია სააქციო საზოგადოება „აისი" -ს (ს/ნ 239861814) რეორგანიზაცია/ლიკვიდაციის შესახებ.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებით სააქციო საზოგადოება „აისი" -ს (ს/ნ 239861814) რეორგანიზაცია/ლიკვიდაცა არ მიმდინარეობს.

საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ქალაქ სენაკში

4100 სენაკი, რუსთაველის ქ№ 235 Tel.: (8413) 27 88 45; 577 95 92 80; 591 16 19 19

№ 1212 26 ნოემბერი 2013წ

ცნობა

ეძლევა ს.ს. „აისი"-ს გენერალურ დირექტორს ხვიჩა ლაკიას მასზედ, რომ ს.ს. „აისი"-ის ქალაქ სენაკში, ჭყონდიდელის ქ. №17-ში, ჭყონდიდელის ქ. №18-ში და აკ. ელიავას ქ. №201-ში საკუთრებაში გააჩნია შენობა-ნაგებობები, სადაც განსახლებული არიან იძულებით გადაადგილებული პირები.

ცნობა ეძლევა მოთხოვნის ადგილზე წარსადგენად.

პატივისცემით,

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული
ორგანოს რწმუნებული ქალაქ სენაკში გ. ჭანტურია

დანართი #3

საქართველოს ,, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

2. დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯები (მათ შორის, ობიექტებში განსახლებულ დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა მიერ მოხმარებული წყლის, ნარჩენების გატანის, ასენიზაციისა და დეზინფექცია-დერატიზაციის, ჩასახლების ობიექტებში მომსახურებისა და მიმდინარე შეკეთების სხვა ხარჯები) ერთ დევნილზე, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე თვეში განისაზღვროს ქალაქ თბილისში არა უმეტეს 10.2 ლარით, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში – არა უმეტეს 5 ლარით. აღნიშნულის დაფინანსება განხორციელდეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად. ხელშეკრულების პირობებს და მის გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციას ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი

ბრძანება № 43

26 02 2013 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯების განსაზღვრისა და ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „რ" ქვეპუნქტების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსება განხორციელდეს ხელშეკრულების საფუძველზე ამ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების პირობებში დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯები ერთ დევნილზე, ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე თვეში განისაზღვროს ქალაქ თბილისში არა უმეტეს 10.2 ლარით, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში – არა უმეტეს 5 ლარის ოდენობით, საიდანაც:

ა) დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის ხარჯი განისაზღვროს 2 ლარის ოდენობით;

ბ) დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების საყოფაცხოვრებო კომუნალური მომსახურების ხარჯის ოდენობა განისაზღვროს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში დადგენილი ტარიფის (მოსაკრებლის) ოდენობით, მაგრამ არ უმეტეს:

ბ.ა) ქალაქ თბილისში მოხმარებული წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურებისათვის – 3.15 ლარისა (მათ შორის, მოხმარებული წყლის მიწოდებას მომსახურებისათვის 2.67 ლარი და კანალიზირებულ ან არაკანალიზირებულ ობიექტებში, შესაბამისად, კანალიზაციის ან ასენიზაციის ხარჯი – 0.48 ლარი), ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში 2.50 ლარისა (მათ შორის მოხმარებული წყლის მიწოდების მომსახურებისათვის – 2.00 ლარი და კანალიზირებულ ან არაკანალიზირებულ ობიექტებში, შესაბამისად, კანალიზაციის ან ასენიზაციის ხარჯი – 0.50 ლარი);

ბ.ბ) ნარჩენის გატანისათვის – ქალაქ თბილისში 5.0, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში 0.4 ლარისა;

გ) დეზინფექცია-დერატიზაციისათვის – 0.05 ლარისა.

3. დამტკიცდეს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის ხელშეკრულების გასაფორმებლად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში წარმოსადგენი დოკუმენტაციის შემდეგი ნუსხა:

ა) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან ორგანიზებულად განსახლების ობიექტის შესაბამისი იურიდიული პირის ბალანსზე არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ობიექტების ადმინისტრაციებისათვის), ხოლო იმ იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის, რომლებსაც დევნილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტი მესაკუთრისაგან გადაცემული აქვთ სარგებლობის უფლებით, დამატებით, აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი (თუ პირი ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას) ან გადამხდელის მოწმობა;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) ამ ბრძანების მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება ან საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება შესაბამისი საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ტარიფების დაწესების შესახებ (დეზინფექცია–დერატიზაციისათვის მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული ხარჯთაღრიცხვა);

ე) ცნობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოდან იმ ორგანიზებულად განსახლების ობიექტის (ობიექტების) შესახებ, რომელთა მომსახურებას იგი ახორციელებს;

ვ) ამ ბრძანების მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა არ ვრცელდება სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე;

ზ) ორგანიზებულად განსახლების ობიექტების (ობიექტის) ნუსხა, რომელთა მომსახურებას იგი ახორციელებს (ობიექტების ადმინისტრაციებისათვის, სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის);

თ) ხელშეკრულების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის უფლებამოსილების და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ი) ცნობა საბანკო რეკვიზიტების შესახებ.

4. მომსახურების ხარჯი, რომელიც წარმოადგენს მოსაკრებელს, ჩაირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

5. ამ ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული ხარჯების გადარიცხვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ხორციელდება თვითმმართველობის მიერ შესაბამისი მოსაკრებლის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების წარმოდგენის შემდგომ.

6. დაუშვებელია ხელშეკრულების გაფორმება ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

7. ხელშეკრულების გაფორმების ბოლო ვადაა 2013 წლის 1 დეკემბერი.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და ლტოლვილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტები ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯების განსაზღვრისა და ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 27 იანვრის №14 ბრძანება.

9. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2013 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მინისტრი — დავით დარახველიძე

საქართველო
მოქალაქის პირადობის მოწმობა

პირადი N 39001016203

სახელი ბორა

გვარი ლაქია

დაბადების თარიღი 13.07.1962

დაბადების ადგილი სენაკი

N ა 1290197

პირადი ხელმოწერა

მისამართი სენაკი ძმები კანკავეების ქ. N 45

მონაცემის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სენაკის სამსახური

გაცემის თარიღი 14.04.2010

მოქმედების ვადა 14.04.2020

რეგისტრაციის თარიღი 05.02.1988

მ.პ. უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დამტკიცებულია სსკ 1976 წლის შრომითი ხელშეკრულებების შესახებ კანონი ★ სფს რეგისტრაციის № 05-1988